

შპს მაქრო ფუდი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. მარაგები	11
6. ძირითადი საშუალებები	12
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	13
8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	13
9. სესხები	13
10. საწესდებო კაპიტალი	14
11. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	14
12. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
15. სხვა შემოსავლები	15
16. სხვა ხარჯები	16
17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

შპს მაქრო ფუდი


ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021 (გადაანგარიშებული)	31-12-2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	31,465	15,341	8,130
სავაჭრო მოთხოვნები		32,996	12,414	13,064
მარაგები	5	217,039	137,982	79,780
გაცემული სესხი		-	328,000	-
სხვა მიმდინარე აქტივები		29,622	13,241	4,157
სულ მოკლევადიანი აქტივები		311,122	506,978	105,131
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	347,450	329,106	158,232
სულ გრძელვადიანი აქტივები		347,450	329,106	158,232
სულ აქტივები		658,572	836,084	263,363
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	1,044,451	665,383	2,364,901
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	489,303	502,842	457,371
მიღებული ავანსები		6,776	7,913	24,157
საგადასახადო ვალდებულებები		55,467	45,445	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,595,997	1,221,583	2,846,429
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	5,570,551	6,214,737	4,135,221
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,570,551	6,214,737	4,135,221
სულ ვალდებულებები		7,166,548	7,436,320	6,981,650
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,337,780	1,337,780	1,337,780
აკუმულირებული ზარალი		(7,845,756)	(7,938,016)	(8,056,067)
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,507,976)	(6,600,236)	(6,718,287)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		658,572	836,084	263,363

დირექტორის მინდობით პირი

ომერ ქირაჩი



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	2,497,517	2,147,186
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	12	(1,437,519)	(904,155)
საერთო მოგება		1,059,998	1,243,031
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(904,403)	(547,671)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(595,691)	(556,103)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(103,057)	(74,410)
სხვა შემოსავლები	15	121,575	42,285
სხვა ხარჯები	16	(53,430)	(95,867)
(ზარალი)/ მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(475,008)	11,265
საპროცენტო შემოსავალი		47,145	709
საპროცენტო ხარჯი		(111,985)	(385,494)
მოგება საკურსო სხვაობიდან		646,328	503,992
მოგება დაბეგვრამდე		106,480	130,472
მოგების გადასახადი		(14,220)	(12,421)
წმინდა მოგება		92,260	118,051

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	1,337,780	(8,056,067)	(6,718,287)
წმინდა მოგება	-	118,051	118,051
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,337,780	(7,938,016)	(6,600,236)
წმინდა მოგება	-	92,260	92,260
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,337,780	(7,845,756)	(6,507,976)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაქრო ფუდი დაფუძნდა 2016 წლის 21 აპრილს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რუსთაველის გამზ., №28 / ალ. ჭავჭავაძის ქ., №2. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404512498. კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი: ემინ უჩარ (15682411266, U 08449945, 01701133796).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო ბიზნესი. კომპანიას აქვს როგორც ადგილზე მომსახურების, ასევე მიწოდების (დელივერი) სერვისი. რესტორანი მდებარეობს თბილისის ცენტრალურ უბანში, რუსთაველის გამზირზე. რესტორნის ბრენდული სახელია „დაინჰოლი“.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს აღმასრულებელი დირექტორი - რუსლან ალიევი (C02167649, აზერბაიჯანი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის

მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	13,075	5,221	9,573
სავაჭრო მოთხოვნები		13,929	13,064	41,695
მარაგები	5	138,170	79,780	101,889
გაცემული სესხი	6	328,000	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		13,563	4,173	7,401
სულ მოკლევადიანი აქტივები		506,737	102,238	160,558
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	329,106	158,232	214,299
სულ გრძელვადიანი აქტივები		329,106	158,232	214,299
სულ აქტივები		835,843	260,470	374,857
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	666,250	2,364,901	2,176,434
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		501,881	457,371	506,368
მიღებული ავანსები		7,913	21,247	130,435
საგადასახადო ვალდებულებები		45,308	-	7,294
მოკლევადიანი სესხები		199,746	266,064	346,435
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,421,098	3,109,583	3,166,966
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	6,013,553	3,869,157	3,630,503
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,013,553	3,869,157	3,630,503
სულ ვალდებულებები		7,434,651	6,978,740	6,797,469
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,337,780	1,337,780	107,175
აკუმულირებული ზარალი		(7,936,588)	(8,056,050)	(6,529,787)
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,598,808)	(6,718,270)	(6,422,612)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		835,843	260,470	374,857

მოგება-ზარალის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	2,155,409	914,294
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(519,092)	(435,232)
საერთო მოგება		1,636,317	479,062
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(507,948)	(427,866)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(970,648)	(742,078)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(74,410)	(71,858)
სხვა შემოსავლები		45,945	189,980
სხვა ხარჯები		(117,984)	(112,348)
ზარალი პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		11,272	(685,108)
საპროცენტო ხარჯი		(384,785)	(440,571)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		505,396	(397,559)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		131,883	(1,523,238)
მოგების გადასახადი		(12,421)	(3,025)
წმინდა მოგება/(ზარალი)		119,462	(1,526,263)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		107,175	(6,529,787)	(6,422,612)
წმინდა ზარალი		-	(1,526,263)	(1,526,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	1,230,605	-	1,230,605
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)		1,337,780	(8,056,050)	(6,718,270)
წმინდა მოგება		-	119,462	119,462
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		1,337,780	(7,936,588)	(6,598,808)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
მანქანა-დანადგარები	4-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც

გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღირიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022	31-12-2021
ფული სალაროში	15,082	12,414
ფული საბანკო ანგარიშებზე	16,383	2,927
სულ	31,465	15,341

5. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-2022	31-12-2021
ნედლეული და მასალები	193,933	113,849
მზა პროდუქცია	23,106	24,133
სულ	217,039	137,982

6. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	36,359	47,498	-	83,857
მანქანა-დანადგარები	35,278	26,608	-	61,886
ოფისის აღჭურვილობა	90,918	12,367	-	103,285
ავეჯი და სხვა ინვენტარი	402,500	34,928	30,786	406,642
სულ	565,055	121,401	30,786	655,670

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2,622	6,683	-	9,305
მანქანა-დანადგარები	14,769	4,820	-	19,589
ოფისის აღჭურვილობა	43,002	19,917	-	62,919
ავეჯი და სხვა ინვენტარი	175,556	71,637	30,786	216,407
სულ	235,949	103,057	30,786	308,220

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	36,359	-	36,359
მანქანა-დანადგარები	55,193	3,221	23,136	35,278
ოფისის აღჭურვილობა	28,384	62,534	-	90,918
ავეჯი და სხვა ინვენტარი	248,853	153,647	-	402,500
სულ	332,430	255,761	23,136	565,055

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	2,622	-	2,622
მანქანა-დანადგარები	19,232	8,195	12,658	14,769
ოფისის აღჭურვილობა	32,378	10,624	-	43,002
ავეჯი და სხვა ინვენტარი	122,587	52,969	-	175,556
სულ	174,197	74,410	12,658	235,949

7. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-2022	31-12-2021
დაკავშირებული იურიდიული პირების მიმართ	873,630	502,070
სხვა მომწოდებლების მიმართ	170,821	163,313
სულ	1,044,451	665,383

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-2022	31-12-2021
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	469,868	497,225
საპენსიო ვალდებულება	19,435	5,617
სულ	489,303	502,842

9. სესხები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-2022	31-12-2021
დაკავშირებული ფიზიკური პირისგან	3,568,161	4,244,189
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან	570,980	167,679
კომერციული ბანკებისგან	1,431,410	1,802,869
სულ	5,570,551	6,214,737

10. საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლებში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი.

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

შემოსავალი რეალიზაციიდან	2022	2021
შემოსავალი სარესტორნო საქმიანობიდან	2,493,574	2,143,505
სხვა შემოსავალი	3,943	3,681
სულ	2,497,517	2,147,186

12. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2022	2021
საკვებისა და სასმელის ხარჯი	748,051	499,686
მომსახურე პერსონალის ხელფასი	678,465	403,313
სხვა ხარჯი	11,003	1,156
სულ	1,437,519	904,155

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2022 და 2021 წლებისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
იჯარის ხარჯი	381,785	66,607
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	138,976	120,909
დასუფთავების/ჰიგიენის ხარჯი	74,927	86,723
მივლინების/მოგზაურობის ხარჯები	44,101	36,998
ბუღალტრული და საკონსულტაციო ხარჯი	35,400	25,879
მარკეტინგული ხარჯები	34,147	40,290
ტრანსპორტირების ხარჯი	32,724	39,179
საექსპლუატაციო/ტექნიკური ხარჯები	31,472	22,451
საბანკო ხარჯი	29,556	23,101
იურიდიული და სანოტარო მომსახურების ხარჯი	19,186	3,557
სხვა ხარჯები	82,129	81,977
სულ	904,403	547,671

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს კომპანიის მიერ ადმინისტრაციაზე გაცემულ ხელფასებს და ასევე თანამშრომლებისთვის ანაზღაურებულ სხვადასხვა ბენეფიტებს.

2022 და 2021 წლებისთვის ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯი	349,887	373,497
ბონუსის ხარჯი	123,780	95,339
დაზღვევის ხარჯი	14,081	14,854
საპენსიო და სხვა სარგებელი	107,943	72,413
სულ	595,691	556,103

15. სხვა შემოსავლები

2022 და 2021 წლებისთვის სხვა შემოსავლების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა შემოსავლები	2022	2021
მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა	111,524	30,864
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	4,237	8,223
სხვა	5,814	3,198
სულ	121,575	42,285

16. სხვა ხარჯები

2022 და 2021 წლებისთვის სხვა ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა ხარჯები	2022	2021
ჯარიმები	38,659	14,218
სხვა	14,771	81,649
სულ	53,430	95,867

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

17.1 გაცემული სესხი

კომპანიამ 2021 წელს გასცა 328,000 ლარის სესხი დაკავშირებულ იურიდიულ პირზე, ხოლო 2022 წელს - 4,554 ლარის სესხი. აღნიშნული თანხა ჯამში 332,554 ლარი მასზე დარიცხული პროცენტის (42,567 ლარის) ჩათვლით სრულად იქნა დაფარული 2022 წელს.

17.2 სავაჭრო მოთხოვნები და შემოსავალი რეალიზაციიდან

2022 და 2021 წლებში კომპანია უწყევდა მომსახურებას დაკავშირებულ პირებს, რომლის ფარგლებშიც 2022 წელს დარიცხულმა შემოსავალმა შეადგინა 17,754 ლარი, ხოლო 2021 წელს - 3,916 ლარი. გაწეული მომსახურებების ფარგლებში დაკავშირებული პირების მიმართ კომპანიას 2022 წლის ბოლოს ჰქონდა 3,617 ლარის სავაჭრო მოთხოვნა, ხოლო 2021 წლის ბოლოს - 712 ლარის მოთხოვნა.

17.3 სავაჭრო ვალდებულებები

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს შენობაში, რომელიც ნაქირავები აქვს მეკავშირე საწარმოსგან. აღნიშნული ობიექტის იჯარის ხარჯმა 2022 წელს შეადგინა 355,403 ლარი. 2022 წელს კომპანიამ ასევე სხვა დაკავშირებული იურიდიული პირებისგან შეიძინა 6,200 ლარის ავეჯი და 6,538 ლარის სასტუმროს მომსახურება. 2022 წლის ბოლოს აღნიშნული დაკავშირებული კომპანიების მიმართ სავაჭრო ვალდებულებამ შეადგინა ჯამში 873,630 ლარი.

2021 წელს დაკავშირებული იურიდიული პირისგან იჯარით აღებული ობიექტის საიჯარო ქირამ შეადგინა 38,628 ლარი. 2021 წელს კომპანიამ ასევე დაკავშირებული კომპანიებისგან შეისყიდა: 18,250 ლარის საიჯარო ფართის ტექნიკური უზრუნველყოფა, 156,973 ლარის მარაგები, 1,770 ლარის ძირითადი საშუალებები და 14,268 ლარის სასტუმროს მომსახურება. 2021 წლის ბოლოს აღნიშნული დაკავშირებული კომპანიების მიმართ სავაჭრო ვალდებულებამ შეადგინა ჯამში 502,070 ლარი.

17.4 სესხები

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, რომლის საბალანსო ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სესხები	31-12-2022	31-12-2021
დაკავშირებული ფიზიკური პირისგან	3,568,161	4,244,189
დაკავშირებული იურიდიული პირებისგან	570,980	167,679
სულ	4,139,141	4,411,868

17.5 მენეჯმენტის კომპენსაცია

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 170,423 ლარი, ხოლო 2021 წელს 146,470 ლარი.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს, ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, კომპანიამ აიღო რამდენიმე სესხი:

- დაკავშირებული იურიდიული პირებისგან - 101,000 ლარის გრძელვადიანი სესხი;
- დაკავშირებული ფიზიკური პირისგან - 165,200 ლარის გრძელვადიანი სესხი.

ასევე 2023 წელს დამფუძნებელმა კომპანიის კაპიტალში შეიტანა 662,950 ლარი.